



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 18

2017 წლის 31 მაისი

ქ. ბათუმი

„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 აგვისტოს №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 აგვისტოს №15 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 03/09/2014 სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.133.016110) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. ეს დადგენილება ამოქმედდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ჯუმბერ ბერიძე

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატის
საშტატო ნუსხა

თანამდებობის დასახელება	საშტატო ერთეულის რაოდენობა
აპარატის უფროსი	1
იურიდიული განყოფილება	
განყოფილების უფროსი	1
მთავარი სპეციალისტი - იურისტი	2
საქმისწარმოების განყოფილება	
განყოფილების უფროსი	1
მთავარი სპეციალისტი - საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო საკითხებში	4
მთავარი სპეციალისტი ფინანსებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სფეროში	1
მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასა და მასმედიასთან ურთიერთობის სფეროში	1
მთავარი სპეციალისტი საკრებულოს არქივის დამუშავება-სისტემატიზაციის სფეროში	1
დამხმარე მოსამსახურე- მძღოლი	2
დამხმარე მოსამსახურე -დამლაგებელი	1
ჯამი	15